საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ბურაკოვსკი ვლადიმერ ივანეს ძე



ვ. ბურაკობსკი.

ბურაკოვსკი ვლადიმერ ივანეს ძე (20. VII. 1922, თბილისი,–22. IX. 1994, მოსკოვი), კარდიოქირურგი. მედ. მეცნ. დოქტორი (1962), პროფესორი (1965), რუსეთის სამედ. მეცნ. აკად. აკადემიკოსი (1978).

1964 დაამთავრა თბილ. სამედ. ინ-ტი. 1960–66 იყო მოსკოვის ა. ბაკულევის სახ. გულ-სისხლძარღვთა ქირურგ. ინ-ტის თანდაყოლილი მანკების განყ-ბის გამგე, 1966-იდან–ამავე ინ-ტის დირექტორი.

ბ. შეისწავლიდა გულ-სისხლძარღვთა ქირურგ. პრობლემებს, გულის თანდაყოლილი მანკების ქირურგიას, აორტის სარქვლების მანკებს, გართულებებს „მშრალ“ და ღია გულზე ოპერაციების დროს, ჰიპერბარულ ოქსიგენაციას გულ-სისხლძარღვთა ქირურგიაში და სხვ. ნაშრომისათვის „ადრეული ასაკის ბავშვების გულის დაავადებანი“ (1970) მიენიჭა ს. სპასოკუკოცკის სახ. პრემია (1973).

სსრკ სახელმწ. პრემიისა (1973) და ლენინური პრემიის (1976) ლაურეატი.

ბ. იყო გულ-სისხლძარღვთა ქირურგ. საპრობლემო კომისიის თავ-რე, პურკინეს სახ. ექიმთა საზ-ბის (ჩეხოსლ.), უნგრ., ბულგ., კუბის, ჩეხოსლ. და აშშ ქირურგ. საზ-ბათა წევრი და სხვ.

თბილისის საპატიო მოქალაქე. სოციალ. შრომის გმირი (1982).

მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები.

თხზ.: Бронхоспирометрия в хирургии гнойных заболеваний легких, Л., 1955; Гипербарическая оксигенация в сердечно-сосудистой хирургии, М., 1974 (თანაავტ. Л. А. Бокерия); Открытый атриовентрикулярный канал, Тб., 1974 (თანაავტ.: З. Л. Зоделава и В. А. Бухарин); Легочная гипертензия при врожденных пороках сердца, М., 1975 (თანაავტ.: В. А., Бухарин, Л. Р. Плотикова); Пересадка сердца, Тб., 1977 (თანაავტ.: М. А. Фролова, Г. Э. Фальковский).